

სააქციო საზოგადოება

„თამ“ (თბილავიამშენი)



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

აუდიტორული კომიტეტის შესახებ

დამტკიცებულია ს/ს „თამ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

თბილისი

6 თებერვალი 2006 წელი

1. აუდიტორული კომიტეტის დანიშნულება და მიზანი

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აუდიტორული კომიტეტის შექმნას, თუმცა სხვა ქვეყნებში აღნიშნული კომიტეტი სულ უფრო განიხილება, როგორც კორპორაციული მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი.

თუ კომპანიის დირექტორები პასუხისმგებლები არიან დაიცვან კომპანიის ინტერესები, აუდიტორულ კომიტეტს აქვს განსაკუთრებული როლი დაადასტუროს, რომ უზრუნველყოფილია აქციონერთა ინტერესების დაცვა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და შიდა კონტროლის მხრივ. აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა შეასრულოს ეს ფუნქცია აღმასრულებელი დირექტორებისგან დამოუკიდებლად.

სამეთვალყურეო საბჭომ დეტალურად უნდა განიხილოს აუდიტორული კომიტეტის შექმნისა და მუშაობის პირობები და მოთხოვნები, რომელიც საუკეთესოდ მიუდგება მის განსაკუთრებულ სიტუაციას. აუდიტორული კომიტეტის შექმნისა და მუშაობის პირობები და მოთხოვნები მისი ამოცანების პროპორციული უნდა იყოს, და შეიცვლება კომპანიის მოცულობის, მისი სტრუქტურის და საქმიანობის სირთულისა და რისკის პროფილის მიხედვით.

აუდიტორული კომიტეტის ძირითადი დანიშნულება და ვალდებულებები:

- გააკონტროლოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სამართლიანობა;
- განიხილოს და გააკონტროლოს გარე აუდიტორის დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და ეფექტურობა;
- შეიმუშაოს და განახორციელოს პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს გარე აუდიტორის მიერ მიწოდებული არა-აუდიტორული მომსახურების სახესა და მოცულობას;
- რეკომენდაცია გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს გარე აუდიტორის დანიშვნის შესახებ. მას მერე, რაც საერთო კრება შეარჩევს გარე აუდიტორს, აუდიტორული კომიტეტი ამტკიცებს აუდიტორის ანაზღაურების ღონესა და თანამშრომლობის პირობებს.
- განიხილოს კომპანიის შიდა კონტროლისა და რისკის მართვის სისტემები და შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები.
- განიხილოს და გააკონტროლოს კომპანიის შიდა აუდიტორული სამსახურის ეფექტურობა და შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები.

2. აუდიტორული კომიტეტის დანიშნულება და ვალდებულებები

ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადება

კომპანიის დირექტორთა საბჭო ვალდებულია მოამზადოს სრული და ზუსტი ფინანსური ანგარიშგება და მისი კომენტარები სათანადო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისა და საკანონმდებლო წესების მიხედვით. აუდიტორული კომიტეტის

ამოცანა კი არის კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკისა და ფინანსური ანგარიშგების და მისი კომენტარების განხილვა და შეფასება. აგრეთვე აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა შეაფასოს, მიიღო თუ არა კომპანიამ შესაბამისი ბუღალტრული პოლიტიკა და დაადასტუროს, რომ მისი ანგარიშგების მომზადების პრაქტიკის დონე შესაფერისია. თავისი დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავებისას სასურველია, რომ აუდიტორული კომიტეტის წევრებმა გაითვალისწინონ გარე აუდიტორის აზრი და შენიშვნები კომპანიის ფინანსური საკითხების მიმართ.

იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორული კომიტეტი უკმაყოფილოა ფინანსური ანგარიშგების მომზადების სხვადასხვა საკითხებით, მან უნდა აღმოჩენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში ჩააბაროს სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია დაამტკიცოს ფინანსური ანგარიშგება ან სხვა ანგარიშები, რომლებიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას. სასურველია, რომ აუდიტორულმა კომიტეტმა წინასწარ განიხილოს ეს ანგარიშები და თავისი მოსაზრებები და რეკომენდაციები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს.

ბ) შიდა აუდიტი

აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა გააკონტროლოს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ობიექტურობა. ღირეპტორთა საბჭო ვალდებულია შექმნას, შეაფასოს და გააკონტროლოს ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა კომპანიაში და გამოავლინოს, თავიდან აიცილოს და მართოს დაკავშირებული რისკები. აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა შეაფასოს მმართველობის მიერ მომზადებული ანგარიშები შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ და, აგრეთვე, შიდა ან/და გარე აუდიტორის შიდა კონტროლის ტესტირების შედეგები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს კომენტარები და რეკომენდაციები.

აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა გააკონტროლოს და განიხილოს შიდა აუდიტორული საქმიანობა მუდმივ საფუძველზე სულ მცირე, წელიწადში ერთხელ. აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა დაადასტუროს, რომ შიდა აუდიტორულ სამსახურს აქვს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი, შეუზღუდავი მისაღვამი ინფორმაციისადმი და საბუთებისადმი, რაც საჭიროა მისი ამოცანების სათანადო დონეზე გადაწყვეტისთვის. აგრეთვე აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა დაადასტუროს, რომ შიდა აუდიტორები საკმარისად კვალიფიცირებული არიან, რათა შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები შიდა აუდიტორული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორული სამსახური კომპანიაში არ არის შექმნილი, აუდიტორულმა კომიტეტმა სულ მცირე, წელიწადში ერთხელ უნდა განიხილოს მისი არარსებობის მიზეზები ან/და ასეთი სამსახურის დანერგვის აუცილებლობა კომპანიის შიდა სტრუქტურაში და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს თავისი რეკომენდაციები.

გ) გარე აუდიტი

აუდიტორული კომიტეტის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა გარე აუდიტორის შერჩევა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აუდიტორის კანდიდატურა დამტკიცებული უნდა იყოს საერთო კრების მიერ. აუდიტორულმა კომიტეტმა გარე აუდიტორის თაობაზე უნდა წარუდგინოს თავისი რეკომენდაციები ჯერ სამეთვალყურეო საბჭოს, შემდეგ კი საერთო კრებას. აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს გარე აუდიტორის თანამშრომლობის პირობები და განსაზღვროს მის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურების ანაზღაურების დონე. გარე აუდიტორის მომსახურების მოცულობა წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული აუდიტის დაწყებამდე აუდიტორული კომიტეტის წევრებთან და მათთან ერთად აუდიტორულ პროცესში ნებისმიერი მომხდარი ცვლილება შემდგომში გარჩეული უნდა იყოს.

აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა გულმოდგინედ შეისწავლოს გარე აუდიტორის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, სათანადო რესურსების არსებობა, ეფექტურობა და დამოუკიდებლობა. ასეთი შესწავლა უნდა ტარდებოდეს ყოველწლიურად. იმ შემთხვევაში, თუ გარე აუდიტორი კომპანიასთან წყვეტს თანამშრომლობას, აუდიტორული კომიტეტის წევრებმა უნდა გაარკვიონ ამის მიზეზები. გარე აუდიტორს უნდა ჰქონდეს უფლება პირდაპირ დაუკავშირდეს აუდიტორულ კომიტეტს სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად კომპანიის დირექტორთა საბჭოს ჩარევის გარეშე.

აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროცედურები გარე აუდიტორის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის შესაფასებლად და გამოიყენოს ეს პროცედურები ყოველწლიურად. წევრები უნდა დარწმუნდნენ, რომ კომპანიაში სრულდება აუდიტორული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები გარე აუდიტორის დამოუკიდებლობის მიმართ.

აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გარე აუდიტორის მიერ გაწეული არააუდიტორული მომსახურების კომპანიის პოლიტიკის შესახებ. ასეთი პოლიტიკის ძირითადი მიზანია დარწმუნება იმაში, რომ გარე აუდიტორის არააუდიტორული მომსახურების მიწოდება უარყოფითად არ მოქმედებს მის ობიექტურობაზე. აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს აუდიტორის პროფესიული კვალიფიკაცია არააუდიტორულ სფეროში; გამოავლინოს, გააჩნია თუ არა აუდიტორს სათანადო ადამიანური და ტექნიკური რესურსები საჭირო დროს; დარწმუნდეს, რომ აუდიტორი არ არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული კომპანიის მიერ გადახდილ აუდიტორულ ანაზღაურებაზე.

აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა განიხილოს გარე აუდიტორთან ერთად მის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები კერძოდ, გარე აუდიტორის მიერ მომზადებული ანგარიში დირექტორთა საბჭოსათვის. აუდიტორული კომიტეტის ამოცანაა დარწმუნდეს, რომ ანგარიში დირექტორთა საბჭოსათვის შეიცავს ყველა ძირითად საკითხს და დირექტორთა საბჭოს მზად არის გადაწყვიტოს ის პრობლემები, რომელიც გამოავლინა გარე აუდიტორმა.

აუდიტორული მომსახურების დასრულებისას აუდიტორულმა კომიტეტმა უნდა შეაფასოს გაწეული აუდიტორული მომსახურების ეფექტურობა.

3. აუდიტორული კომიტეტის შემადგენლობა

აუდიტორული კომიტეტი არის სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი კომიტეტი ასე, რომ მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება არჩეული იყვნენ აუდიტორულ კომიტეტში. აუდიტორული კომიტეტი უნდა შეიცავდეს სულ მცირე, სამ წევრს, რომელთაგანაც ერთი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი უნდა იყოს.

აუდიტორული კომიტეტის წევრები ინიშნებიან ოთხი წლის ვადით და, ამასთანავე, მათი გადარჩევა შესაძლებელია მხოლოდ ორი ოთხწლიანი ვადით, რაც უზრუნველყოფს წევრების დამოუკიდებლობას.

აუდიტორული კომიტეტის წევრები კარგად უნდა ერკვეოდნენ კომპანიის დარგსა და საქმიანობაში, მისი ნაწარმისა და მომსახურების ჩათვლით, რადგან ეს მათ საშუალებას აძლევს შეაფასონ ფინანსური შედეგები, ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრაქტიკის მართებულობა და დაკავშირებული რისკები. წევრები, რომლებსაც აქვთ კომპანიის მუშაობის დარგში შეზღუდული ცოდნა და გამოცდილება, სათანადოდ უნდა იყვნენ მომზადებული.

ყველა წევრს უნდა გააჩნდეს კარგი ანალიტიკური აზროვნება, დირექტორთა საბჭოსაგან დამოუკიდებლობა და კომპანიის კორპორაციული მართვის სტრუქტურაში კომიტეტის მნიშვნელოვანი როლის გააზრება. აუდიტორული კომიტეტის სულ მცირე, ერთ წევრს მაინც უნდა გააჩნდეს საფუძვლიანი, სათანადო და დიდი ფინანსური გამოცდილება. რადგან სამეთვალყურეო საბჭოს ეს კომიტეტი იხილავს და აკონტროლებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, შიდა კონტროლსა და აუდიტორულ ფუნქციებს, სასურველია, რომ სხვა წევრებიც ფინანსურად განათლებული იყვნენ, თუმცა მათი ფინანსური განათლების დონე დამოკიდებული იქნება კომპანიის საქმიანობაზე. კომიტეტის წევრს, როგორც მინიმუმ უნდა შეეძლოს ფინანსური ანგარიშგების წაკითხვისა და გაგების შესაძლებლობა, როგორცაა ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება. თუ კომიტეტის წევრებს არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა, მათ მიეცემათ გარკვეული დრო ფინანსური ცოდნისა და გამოცდილების შესაძენად და გასავითარებლად. კომპანიისთვის რეკომენდირებულია სათანადო ტრეინინგების მოწყობა აუდიტორული კომიტეტის წევრებისთვის, რომლებიც შეიცავს ისეთ თემებს, როგორცაა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები და განვითარება და საკანონმდებლო წესებისა და ნორმატიული აქტების განხილვა, რომლებიც კომპანიის საქმიანობას არეგულირებს.

კომპანიისთვის რეკომენდირებულია უზრუნველყოს აუდიტორული კომიტეტის წევრები სხვა სახის ტრეინინგებითაც, თუ საჭიროა (მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებაში გარკვევა, შიდა და გარე აუდიტორთა როლი, რისკების მართვა და ა.შ.). ტრეინინგები შეიძლება ჩატარდეს სემინარების, კონფერენციების, ფორმალური კურსების სახითა და სხვა. ტრეინინგების ფორმა დამოკიდებულია აუდიტორული კომიტეტის წევრების ცოდნაზე, გამოცდილებაზე, შესაძლებლობებსა და უნარ-ჩვევებზე.

კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს ობიექტური და შეეძლოს განავითაროს ეფექტური სამუშაო ურთიერთობები – კომიტეტის წევრების, დირექტორთა საბჭოსა და შიდა და გარე აუდიტორთა შორის.

4. სხდომები/შეხვედრები

თავისი მოვალეობების ეფექტური შესრულების მიზნით აუდიტორული კომიტეტი პერიოდულად უნდა ატარებდეს სხდომებს/შეხვედრებს. აუდიტორული კომიტეტის თავმჯდომარემ სხვა წევრებთან კონსულტაციებით უნდა ადგენდეს სხდომების/შეხვედრების სიხშირესა და დროს. უნდა ჩატარდეს იმდენი სხდომა/შეხვედრა, რამდენიც საჭიროა კომიტეტის ეფექტური საქმიანობისთვის. მაგრამ რეკომენდირებულია ჩატარება არა ნაკლებ ოთხი სხდომის/შეხვედრის წელიწადში. როგორც წესი, აუდიტორული კომიტეტი უთავსებს თავის სხდომებს/შეხვედრებს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტორულ ციკლს. მაგრამ, რადგან კომიტეტის მოვალეობებში სხვა ამოცანებიც (რისკების მართვა, შიდა კონტროლის საკითხები და სხვა) შედის, რეკომენდირებულია დამატებითი სპეციალური სხდომების/შეხვედრების ჩატარება, სადაც კომიტეტის წევრებს ექნებათ საკმარისი დრო ამ მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად.

ჩვეულებრივად, მხოლოდ აუდიტორული კომიტეტის წევრებისთვის დაშვებულია ამ სხდომებში/შეხვედრებში მონაწილეობა, მაგრამ, როგორც წესი, შიდა აუდიტორული სამსახურის უფროსი და გარე აუდიტორის წარმომადგენელი (პასუხისმგებელი მენეჯერი, პარტნიორი) რეგულარულად ესწრებიან აუდიტორული კომიტეტის სხდომებს/შეხვედრებს. რადგან დირექტორთა საბჭოს პასუხს აგებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, ჩვეულებად უნდა იქცეს კომპანიის ფინანსური სპეციალისტებისთვის ზოგიერთი სხდომის/შეხვედრის დასწრება ზუსტად იმ ნაწილში, როდესაც კომიტეტის წევრები იხილავენ მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. მაგრამ მკაცრად რეკომენდირებულია, რომ მხოლოდ აუდიტორული კომიტეტი თავად წყვიტავს, არის თუ არა მოსაწვევი არა-წევრები რომელიმე სხდომაზე/შეხვედრაზე. სხდომის/შეხვედრის დეტალური გეგმა წინასწარ უნდა შემუშავდეს და დაეგზავნოს სხდომის/შეხვედრის მონაწილეებს.

აუდიტორული კომიტეტის წევრები ცალკე უნდა შეხვდნენ შიდა და გარე აუდიტორებს და შეხებაში უნდა იყვნენ კომპანიის უმაღლეს პირებთან. ეს საჭიროა იმისთვის, რომ კომიტეტი სრულად იყოს გათვითცნობიერებული კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს მდგომარეობაში, რაც კომიტეტის მოვალეობების ეფექტური შესრულებისთვის აუცილებელია.

იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის გეგმა შეიცავს აუდიტორული კომიტეტის საქმიანობის საკითხებს, სასურველია, რომ განსაზღვრულ იქნას საკმარისი ინტერვალის კომიტეტის შეხვედრასა და სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრას შორის, რათა შესაძლებელი იყოს აუდიტორული კომიტეტის მიერ გასაკეთებელი რაიმე სამუშაო შესრულდეს და შედეგები წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს საჭიროების შემთხვევაში.

5. რესურსები

საუკეთესო პრაქტიკა მოითხოვს აუდიტორული კომიტეტის უზრუნველყოფას შესაბამისი რესურსებით, რომლებიც აუცილებელია მისი მოვალეობების შესასრულებლად. კომიტეტის წევრებს უნდა ჰქონდეთ შეუზღუდავი მისაღობი

კომპანიის ნებისმიერ შიდა ინფორმაციისადმი და საბუთებისადმი, რაც მათ დასჭირდებათ თავისი მოვალეობის შესასრულებლად და მიზნების მისაღწევად. კომპანიამ ასევე უნდა უზრუნველყოს კომიტეტის ადმინისტრაციული ხელშეწყობა – ერთერთი ყველაზე ხშირად მოთხოვნილი რესურსი. კორპორაციული მდივნის ძირითადი მოვალეობაა შემდეგი: დარწმუნდეს, რომ აუდიტორული კომიტეტი დროულად მიიღებს ყველა საჭირო ინფორმაციასა და საბუთებს, შეადგინოს და დაგზავნოს სხდომების/შეხვედრების გეგმა, შეიმუშაოს ჩატარებული სხდომების/შეხვედრების პროტოკოლი და კოორდინაცია გაუწიოს კომუნიკაციის პროცესს კომპანიის უმაღლეს პირთა და თანამშრომელთა აუდიტორულ კომიტეტთან საჭიროების შემთხვევაში. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს აუდიტორული კომიტეტი ფინანსური ფონდებით (სახსრებით), რათა მათ მიეცეთ საშუალება მიიღონ იურიდიული, ფინანსური, ბუღალტრული და სხვა რჩევები, თუ ამის აუცილებლობა გამოჩნდა. მკაცრად რეკომენდირებულია აუდიტორულ კომიტეტს ჰქონდეს უფლება დაიჭირავოს გარე კონსულტანტი პირადი შეხედულებით სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით.

სააქციო საზოგადოება „თამ“ (TAM)

აუდიტორული კომიტეტის და შიდა აუდიტის სტრუქტურა

